ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და გაიზარდოს 413,9 ათასი ლარით, მ.შ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის N222 განკარგულებით ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" 210,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის (პროგრამული კოდი 02 06) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 07/09/2026 N ბ46.462625013 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე ,,საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების დაფინანსებისათვის'' 50,9 ათასი ლარით და მიიმართოს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 04 05) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 27/08/2026 N ბ46.46262393 ბრძანება.

გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლები, სხვა შემოსავლები 153,0 ათასით და მიიმართება საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შეძენის ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 09).

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 39,935.3 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია